



მოგესალმებით,

კორონა ვირუსის (COVID – 19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის პროცესში საზოგადოება კვლავ იჩენს მაღალ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, უამრავი ადამიანი ჩაერთო მოხალისეობრივ საქმიანობაში. არასამთავრობო ორგანიზაციები, არაფორმალური გაერთიანებები დღემდე უწყვეტ რეჟიმში სთავაზობენ დახმარებას ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. მიგვაჩნია, რომ ამ ადამიანებს უნდა ვიცნობდეთ და მადლობა გადავუხადოთ. გვაქვს ინიციატივა საქართველოში დაწესდეს „მოხალისის ეროვნული ჯილდო 2020“. ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში შეტანილი წვლილისათვის:

- გადაუდებელი დახმარება კრიზისულ სიტუაციაში
- ადამიანის უფლებების დაცვა
- გარემოსდაცვითი სფერო
- მოხალისეობის განვითარება
- განათლება
- კულტურა
- სპორტი და ჯანსაღი ცხოვრება

იმისათვის, რათა თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი მოხალისეები უკეთესად იყვნენ წარმოდგენილნი, მოხალისის ეროვნული ჯილდო გაიცემა შემდეგ ასაკობრივ კატეგორიებში: ახალგაზრდა (14 დან 29 წლამდე), ზრდასრული (30+).

მოგმართავთ თხოვნით დაინტერესების შემთხვევაში შემოუერთდეთ ჩვენს ინიციატივას, როგორც ღონისძიების პარტნიორი, რათა ერთობლივად შევძლოთ ზემოაღნიშნული ღონისძიების ეფექტიანი განხორციელება და საფუძველი ჩავუყაროთ სფეროსთვის საჭირო ტრადიციის დამკვიდრებას. ასევე გთხოვთ მოახდინოთ თქვენს ორგანიზაციაში მომუშავე მოხალისეების ნომინირებაც და დაგვეხმაროთ ინფორმაციის გავრცელებაში. გიზიარებთ განაცხადის ფორმას:

<https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSeCu93JD5bPZMpia3rx-vP622g53wLgYINUoA8T1OoORkqdzQ/viewform>

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ პარტნიორობა.

მომავალი თანამშრომლობის იმედით,

თინათინ მესხი

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, დაგვიკავშირდით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: helpinghand.geo@gmail.com ან დაგვიკავშირდით 551 143 59